

# საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

## სენატის

2015 წლის 6 აპრილის =78 სხდომის

დ ა დ ბ ე ნ ი ლ ე ბ ა =1

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატის 2015 წლის 6 აპრილის =78 სხდომაზე სტუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა, პროფ. ქეთევან ქოქრაშვილმა წარმოადგინა საკითხი სტუ-ის 2015 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილებების შეტანის შესახებ, კერძოდ:

1. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2015 წლის 26 მარტის NMES 61500230880 წერილისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2015 წლის 26 მარტის N322 ბრძანების საფუძველზე, რომელიც ითვალისწინებს „სახელმწიფო სტიპენდიები სტუდენტებს“ პროგრამის ფარგლებში დაფინანსებას მარტის, აპრილის, მაისის, ივნისისა და ივლისის თვეებისთვის გამოყოფილია 474 000 ლარი.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სტუ-ის ნაერთი ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი გაიზარდოს 474 000 ლარით, ხოლო ხარჯვით ნაწილში გაიწეროს „სახელმწიფო სტიპენდიები სტუდენტებს“ დაფინანსების პროგრამით, სხვა ხარჯების სტიპენდიების მუხლში;

2. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი ოფიციალურადაა დარეგისტრირებული და შემდეგი საერთაშორისო ორგანიზაციების წევრია: ITU - ტელეკომუნიკაციის საერთაშორისო კავშირი; EUA - ევროპული უნივერსიტეტების ასოციაცია; ფრანკოფონიის უნივერსიტეტთა სააგენტო; შავი ზღვის უნივერსიტეტების ასოციაცია, რომლებთანაც ყოველწლიურად იხდის სარეგისტრაციო თანხებს. ეს გადახდები სტუ-ის ბიუჯეტში გათვალისწინებული იყო სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების მუხლში. ხაზინის მომსახურებაზე გადასვლის შემდეგ საჭირო გახდა ხარჯების კლასიფიკაციის მუხლის შეცვლა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ადმინისტრაციის ხარჯთაღრიცხვასა და ნაერთ ბიუჯეტში სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების მუხლიდან 15 900 ლარი გადატანილ იქნეს გრანტების მუხლში.

ადმინისტრაციის ხარჯთაღრიცხვასა და ნაერთ ბიუჯეტში მივლინების ხარჯებიდან 12 000 ლარი გადატანილ იქნეს სხვა ხარჯების სხვა მიმდინარე ხარჯების მუხლში.

ადმინისტრაციისა და ადმინისტრირების ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი იზრდება 200 000 ლარით, რომელიც გამოიყოფა ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის საშემოსავლო ნაწილიდან დამტკიცებული კვოტის ფარგლებში.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ადმინისტრაციისა და ადმინისტრირების ბიუჯეტის ხარჯთაღრიცხვა გაიზარდოს 200 000 ლარით, რომელიც გაიწერება ეკონომიკური კლასიფიკაციის შემდეგ მუხლებში: შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების მუხლში 135 750 ლარი, ოფისის ხარჯების მუხლის მცირეფასიანი საოფისე ტექნიკის, ინვენტარის შეძენა/დამონტაჟების ხარჯების პუნქტში 10 000 ლარი, ოფისისათვის საჭირო საგნებისა და მასალების, რეცხვა-ქიმიკატების და სანიტარიული საგნების შეძენის პუნქტში 25 000 ლარი, ხოლო სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების მუხლის სხვა არაკლასიფიცირებული ხარჯების მუხლში 29 250 ლარი;

3. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2015 წლის 20 მარტის №1469 დადგენილების თანახმად, უნივერსიტეტთან არსებულ „განახლებადი ენერჯისა და ენერგოეფექტურობის საინოვაციო ცენტრს“ „ტალღის ენერჯის გარდამქმნელის ახალი მოდელის კვლევისათვის“ გამოეყო დაფინანსება 15 000 ლარის ოდენობით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ადმინისტრაციის ხარჯთაღრიცხვასა და ნაერთ ბიუჯეტში არაფინანსური აქტივების, კომპიუტერული ტექნიკის შეძენის მუხლიდან 13 600 ლარი გადატანილ იქნეს შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების მუხლში; 1 300 ლარით შეძენილ იქნეს კომპიუტერული და ელექტროტექნიკა, ხოლო 100 ლარით – საკანცელარიო საქონელი ადმინისტრაციის ხარჯებიდან;

4. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის ხარჯთაღრიცხვასა და ნაერთ ბიუჯეტში შრომის ანაზღაურების ხელფასის მუხლიდან 4 492 ლარი გადატანილ იქნეს პრემიის მუხლში;

5. სტუ-ის საფაკულტეტო ბიუჯეტებში განხორციელდეს შემდეგი ცვლილებები, კერძოდ:

5.1. სამშენებლო ფაკულტეტის ბიუჯეტმა მობილობის შედეგად და სტატუსშეჩერებული სტუდენტების ოდენობის შემცირების ხარჯზე განიცადა ცვლილება და საშემოსავლო ნაწილი შემცირდა 98 500 ლარით, შემოსავალი კი განისაზღვრა 4 430 925 ლარით. შესაბამისად, შემცირდა ფაკულტეტის განსაკარგავი ასიგნებები და განისაზღვრა 3 560 720 ლარით. 98 500 ლარით შემცირდა ეკონომიკური კლასიფიკაციის შემდეგი მუხლები: სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების მუხლის სასწავლო და საწარმოო პრაქტიკის ხარჯების პუნქტი 10 000 ლარით, საქონელსა და მომსახურებაზე გაწეული დანარჩენი ხარჯები, რომლებიც არ კლასიფიცირდება

დანარჩენ მუხლებში 10 830 ლარით, სხვა ხარჯების მუხლის სხვადასხვა მიმდინარე ხარჯების სხვა დანარჩენი ხარჯების პუნქტი 38 670 ლარით, არაფინანსური აქტივების მუხლის კომპიუტერული ტექნიკის შეძენის პუნქტი 10 000 ლარით, ელექტრომოწყობილობების, რადიო-, სატელევიზიო, ოპტიკური აპარატურისა და ავეჯის პუნქტი 14 000 ლარით; სხვა მანქანა-დანადგარები და ინვენტარი, რომელიც არ არის კლასიფიცირებული 10 000 ლარით და სხვა ძირითადი აქტივების მუხლის კომპიუტერების პროგრამული უზრუნველყოფის პუნქტი 5 000 ლარით.

განხორციელდეს შიგამუხლობრივი ცვლილებები, კერძოდ: შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების მუხლიდან 51 000 ლარი გადატანილ იქნეს არაფინანსური აქტივების, არასაცხოვრებელი შენობების მუხლში; 99 000 ლარი გადატანილ იქნეს პრემიის მუხლში. ასევე, პრემიის მუხლში თანხები გადატანილ იქნეს შემდეგი მუხლებიდან: მივლინებებიდან 20 000 ლარი; ნორმატიული აქტების, საცნობარო და სპეც. ლიტერატურის შეძენის ხარჯებიდან 15 000 ლარი; მცირეფასიანი საოფისე ტექნიკის შეძენის ხარჯებიდან 20 000 ლარი; ოფისისათვის საჭირო საგნებისა და მასალების შეძენის ხარჯებიდან 10 000 ლარი; კადრების მომზადება-გადამზადებასთან დაკავშირებული ხარჯებიდან 10 000 ლარი; სესიების, კონფერენციებისა და ყრილობების ორგანიზაციის ხარჯებიდან 10 000 ლარი; კულტურული, სპორტული, საგანმანათლებლო და საგამოფენო ღონისძიებების ხარჯებიდან 3 000 ლარი; ტრანსპორტის მიმდინარე რემონტის ხარჯებიდან 5 000 ლარი; საქონელსა და მომსახურებაზე გაწეული დანარჩენი ხარჯებიდან, რომელიც არ არის კლასიფიცირებული 4 170 ლარი; სულ ჯამში 196 170 ლარი.

სხვა ხარჯების სხვა დანარჩენი მიმდინარე ხარჯებიდან 5 530 ლარი გადატანილ იქნეს დანამატის მუხლში; კვების ხარჯებიდან 5 000 ლარი და ტრანსპორტის დაქირავება, გადაყვანა/გადაზიდვის ხარჯებიდან 10 000 ლარი გადატანილ იქნეს კულტურული, სპორტული, საგანმანათლებლო და საგამოფენო ხარჯების მუხლში; საოფისე ტექნიკის, ინვენტარის, მანქანა-დანადგარების მოვლა-შენახვისა და ექსპლუატაციის ხარჯებიდან 3 500 ლარი გადატანილ იქნეს ექსპერტიზისა და შემოწმების ხარჯების მუხლში; საქონელსა და მომსახურებაზე გაწეული დანარჩენი ხარჯი, რომელიც არ კლასიფიცირდება დანარჩენ მუხლებში, 15 000 ლარი გადატანილ იქნეს არაფინანსური აქტივების სხვა არამატერიალური ძირითადი აქტივების პუნქტში;

5.2. ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილში ცვლილება არ განხორციელებულა. განხორციელდა შიგამუხლობრივი ცვლილებები,

კერძოდ: მცირეფასიანი საოფისე ტექნიკისა და ინვენტარ-მოწყობილობების შეძენის მუხლიდან 1 761 ლარი გადატანილ იქნეს არაფინანსური აქტივების ელექტრომოწყობილობების, რადიო-, სატელევიზიო და საკომუნიკაციო აპარატურის შეძენის მუხლში; შენობა-ნაგებობების მიმდინარე რემონტის ხარჯებიდან 9 636 ლარი გადატანილ იქნეს არაფინანსური აქტივების ელექტრომოწყობილობების, რადიო-, სატელევიზიო და საკომუნიკაციო აპარატურის შეძენის მუხლში; შენობა-ნაგებობების მიმდინარე რემონტის ხარჯებიდან 2 500 ლარი გადატანილ იქნეს ტრანსპორტის დაქირავება-გადაყვანა-გადაზიდვის მუხლში; ამავე მუხლიდან 5 520 ლარი გადატანილ იქნეს დანამატის მუხლში; საქონელი და მომსახურების, სხვა საქონელსა და მომსახურებაზე გაწეული დანარჩენი ხარჯებიდან 8 000 ლარი გადატანილ იქნეს სხვა არამატერიალური ძირითადი აქტივების მუხლში;

5.3. სამთო-გეოლოგიურ ფაკულტეტზე საგაზაფხულო - შიგა და გარე მობილობის, სტატუსშეჩერებულ სტუდენტთა აღდგენის შედეგად, ფაკულტეტის დამტკიცებული ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილს ცვლილება არ განუცდია. ფაკულტეტის ბიუჯეტი საჭიროებს შიგამუხლობრივ ცვლილებებს, კერძოდ: თანამდებობრივი სარგოს მუხლიდან 5 520 ლარი გადატანილ იქნეს დანამატის მუხლში; იგივე თანამდებობრივი სარგოს მუხლიდან 22 871 ლარი გადატანილ იქნეს პრემიის მუხლში; შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების მუხლიდან 112 129 ლარი გადატანილ იქნეს პრემიის მუხლში;

5.4. ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტის საშემოსავლო ნაწილში ცვლილება არ მომხდარა. განხორციელდა შიგამუხლობრივი ცვლილებები, კერძოდ: მივლინებების მუხლიდან 3 520 ლარი, ხოლო შენობა-ნაგებობების მიმდინარე რემონტის ხარჯებიდან 2 000 ლარი გადატანილ იქნეს დანამატის მუხლში; არაფინანსური აქტივების სხვა შენობა-ნაგებობების მუხლიდან 2 163 ლარი გადატანილ იქნეს კომპიუტერული მოწყობილობების შეძენის მუხლში; 2 074 ლარი გადატანილ იქნეს მცირეფასიანი საოფისე ტექნიკისა და ინვენტარის შეძენის მუხლში; 2 960 ლარი გადატანილ იქნეს ოფისისათვის საჭირო საგნებისა და მასალების შეძენის ხარჯების მუხლში; 7 803 ლარი გადატანილ იქნეს არაფინანსური აქტივების არასაცხოვრებელი შენობების პუნქტში; შენობა-ნაგებობების მიმდინარე რემონტის ხარჯებიდან 71 197 ლარი გადატანილ იქნეს არაფინანსური აქტივების არასაცხოვრებელი შენობების პუნქტში.

ქონების გადასახადიდან 27 512 ლარი, მიწის გადასახადიდან 1 693 ლარი, ელექტრომოწყობილობების, რადიო-, სატელევიზიო და საკომუნიკაციო აპარატურის შეძენის

მუხლიდან 38 540 ლარი და წყლის ხარჯებიდან 16 543 ლარი გადატანილ იქნეს პრემიის მუხლში;

5.5. სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი დამატებით შეძენილი კრედიტებისა და სტუდენტთა მობილობის შედეგად გაიზარდა 314 801 ლარით. ფაკულტეტის ბიუჯეტის ასიგნებები შესაბამისად გაიზარდა 314 801 ლარით, კერძოდ: შრომის ანაზღაურების მუხლის პრემიის პუნქტი 114 605 ლარით, დანამატის პუნქტი 5 520 ლარით; შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების მუხლი 22 596 ლარით; მცირეფასიანი საოფისე ტექნიკის, საოფისე ინვენტარის შეძენა, დამონტაჟება/დემონტაჟის ხარჯები 14 580 ლარით, შენობა-ნაგებობების და მათი მიმდებარე ტერიტორიების მიმდინარე რემონტის ხარჯები 36 500 ლარით; წარმომადგელობითი ხარჯები 5 500 ლარით; სოციალური უზრუნველყოფის მუხლის დამქირავებლის მიერ გაწეული სოციალური დახმარების პუნქტი 20 000 ლარით; არაფინანსური აქტივების მუხლის ელექტრომოწყობილობების, რადიო-, სატელევიზიო, საკომუნიკაციო აპარატურის, ოპტიკური ხელსაწყოების, ავეჯის შეძენის პუნქტი 85 500 ლარით; სხვა მანქანა-დანადგარების, რომელიც არ არის კლასიფიცირებული 10 000 ლარით.

განხორციელდეს შიგამუხლობრივი ცვლილებები, კერძოდ: მივლინების მუხლი შემცირდეს 10 000 ლარით, საიდანაც 8 000 ლარით გაიზრდება სესიების, კონფერენციების, ყრილობების, სემინარებისა და სხვა სამუშაო შეხვედრების ორგანიზების ხარჯები; ორდენების, სიგელების, სუვენირების, მედლების, დროშისა და სხვა ფასიანი საჩუქრების შეძენის ხარჯები გაიზარდოს 2 000 ლარით; ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯების მუხლის ტრანსპორტის დაქირავების, გადაზიდვა/გადაყვანა ხარჯების პუნქტი შემცირდეს 10 000 ლარით, შესაბამისად გაიზარდოს სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების მუხლის კულტურულ-სპორტული და საგამოფენო ღონისძიებების ხარჯების პუნქტი; სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების მუხლის სხვა დანარჩენი ხარჯები, რომელიც არ კლასიფიცირდება დანარჩენ მუხლებში, შემცირდეს 25 000 ლარით, შესაბამისად გაიზარდოს არამატერიალური ძირითადი აქტივების სხვა არამატერიალური ძირითადი აქტივები; ოფისის ხარჯების მუხლის ოფისისათვის საჭირო საგნებისა და მასალების, რეცხვის, ქიმიშენდისა და სანიტარიული საგნების შეძენის ხარჯების პუნქტი შემცირდეს 2 640 ლარით, რითაც გაიზრდება ნორმატიული აქტების, საცნობარო და სპეც. ლიტერატურის, ჟურნალ-გაზეთების შეძენა და ამავე მიზნებთან დაკავშირებული საგამომცემლო-სასტამბო ხარჯები; სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების მუხლის სასწავლო და საწარმოო პრაქტიკასთან

დაკავშირებული ხარჯების პუნქტი შემცირდეს 5 000 ლარით, საიდანაც 360 ლარი დაემატება ოფისის ხარჯების მუხლის ნორმატიული აქტების, საცნობარო და სპეც. ლიტერატურის, ჟურნალ-გაზეთების შეძენა და ამავე მიზნებთან დაკავშირებული საგამომცემლო-სასტამბო ხარჯების პუნქტს; ხოლო 4 640 ლარი დაემატოს არაფინანსური აქტივების მუხლის არასაცხოვრებელი შენობების პუნქტს.

არამატერიალური ძირითადი აქტივების მუხლის ლიცენზიების და კომპიუტერების პროგრამული უზრუნველყოფის პუნქტი შემცირდეს 23 600 ლარით, საიდანაც 16 890 ლარით გაიზრდება შენობა-ნაგებობებისა და მათი მიმდებარე ტერიტორიების მიმდინარე რემონტის ხარჯები; 2 000 ლარით გაიზარდოს ორდენების, სიგელების, სუვენირების, მედლების, დროშისა და სხვა ფასიანი საჩუქრების შეძენის ხარჯები; 640 ლარით გაიზარდოს სასწავლო მიზნით საჭირო ნივთებისა და მასალების შეძენის ხარჯები; 310 ლარით გაიზარდოს ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის, სათადარიგო ნაწილების, მცირეფასიანი ინსტრუმენტებისა და ხელსაწყოების შეძენის ხარჯების პუნქტი, 3 760 ლარით გაიზარდოს არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლის არასაცხოვრებელი შენობების პუნქტი;

5.6. არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის ბიუჯეტი სტუდენტთა კონტინგენტის შემცირების გამო შემცირდა 37 080 ლარით და საშემოსავლო ნაწილი განისაზღვრა 1 882 075 ლარით. აღნიშნული თანხიდან 9 781 ლარი მიემართება ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის ბიუჯეტში, ხოლო 12 560 ლარი – სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის ბიუჯეტში. ადმინისტრაციისა და ადმინისტრირების გადასახდელების დაფინანსებისთვის გადასაცემი თანხა უცვლელი რჩება და 191 916 ლარს შეადგენს. ამრიგად, ფაკულტეტის განსაკარგავი ასიგნებები 1 667 818 ლარს შეადგენს.

ფაკულტეტის ბიუჯეტის 37 080 ლარის შემცირების გამო მცირდება ხარჯვითი ნაწილის შემდეგი მუხლები: არაფინანსური აქტივების არასაცხოვრებელი შენობების მუხლი შემცირდეს 3 000 ლარით; სესიების, კონფერენციების, ყრილობების, სხვა სამუშაო შეხვედრების ორგანიზების ხარჯების მუხლი შემცირდეს 5 000 ლარით; დამქირავებლის მიერ გაწეული სოციალური დახმარების მუხლი შემცირდეს 2 000 ლარით; სხვა ხარჯების სხვა მიმდინარე ხარჯების მუხლი შემცირდეს 3 000 ლარით; მივლინებების მუხლი შემცირდეს 6 080 ლარით; სასწავლო და საწარმოო პრაქტიკასთან დაკავშირებული ხარჯები შემცირდეს 5 000 ლარით; წარმომადგენლობითი ხარჯების მუხლი შემცირდეს 8 000 ლარით; კულტურული, სპორტული, საგანმანათლებლო და საგამოფენო ღონისძიებების მუხლი შემცირდეს 5 000 ლარით; სულ ჯამში შემცირდეს 37 080 ლარით.

განხორციელდეს შიგამუხლობრივი ცვლილებები, კერძოდ: ტრანსპორტის დაქირავება, გადაყვანა/გადაზიდვის ხარჯებიდან 10 000 ლარი გადატანილ იქნეს კულტურული, სპორტული, საგანმანათლებლო და საგამოფენო ღონისძიებების ხარჯების მუხლში; მივლინებების მუხლიდან 5 520 ლარი გადატანილ იქნეს დანამატის მუხლში, ხოლო 13 311 ლარი საოფისე ტექნიკისა და ინვენტარის შეძენა-დამონტაჟების მუხლში; სხვა ხარჯების სხვა მიმდინარე ხარჯებიდან 2 010 ლარი გადატანილ იქნეს კომპიუტერული მოწყობილობების შეძენის მუხლში;

5.7. ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი განხორციელებული მობილობის, აღდგენების, დამატებით აღებული კრედიტებისა და საკასო ნაშთის ჩათვლით (3 აპრილის მდგომარეობით) გაიზარდოს 1 068 535 ლარით და საშემოსავლო ნაწილი განისაზღვროს 12 791 085 ლარით. აქედან 4 420 118 ლარი მიემართება სტუ-ის ადმინისტრაციისა და ადმინისტრირების ხარჯების დასაფინანსებლად, რაც 200 000 ლარით მეტია 2014 წლის დეკემბერში დამტკიცებულ თანხასთან შედარებით.

დარჩენილი თანხა 868 535 ლარი გადანაწილდეს ხარჯების კლასიფიკაციის შემდეგ მუხლებში: შენობა-ნაგებობების მიმდინარე რემონტის ხარჯების მუხლში 465 000 ლარი; დანამატის მუხლში 65 000 ლარი; მივლინებების მუხლში 60 000 ლარი; სხვა ხარჯების სხვა დანარჩენი ხარჯების მუხლში 50 000 ლარი; არაფინანსური აქტივების, ელექტრომოწყობილობების, რადიო-, სატელევიზიო და საკომუნიკაციო აპარატურის შეძენის მუხლში 4 100 ლარი; მცირეფასიანი საოფისე ტექნიკის შეძენის მუხლში 6 600 ლარი; სამეცნიერო ხარჯების მუხლში 450 ლარი; საქონელსა და მომსახურებაზე გაწეული დანარჩენი ხარჯების მუხლში 1 000 ლარი; შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების მუხლში 110 000 ლარი; ორდენები, სიგელების და სხვა ფასიანი საჩუქრების შეძენის მუხლში 3 000 ლარი; არაფინანსური აქტივების არასაცხოვრებელი შენობების მუხლში 4 200 ლარი; პრემიის მუხლში 99 185 ლარი.

განხორციელდა შიგამუხლობრივი ცვლილებები, კერძოდ: ტრანსპორტის დაქირავება, გადაყვანა/გადაზიდვის ხარჯებიდან 68 150 ლარი გადატანილ იქნეს კულტურული, სპორტული, საგანმანათლებლო და საგამოფენო ღონისძიებების მუხლში; კვების ხარჯებიდან 12 082 ლარი გადატანილ იქნეს კულტურული, სპორტული, საგანმანათლებლო და საგამოფენო ღონისძიებების მუხლში; სამეცნიერო ხარჯებიდან 10 000 ლარი გადატანილ იქნეს არაფინანსური აქტივების არამატერიალური ძირითადი აქტივების მუხლის სხვა არამატერიალური ძირითადი აქტივების პუნქტში;

5.8. ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის ბიუჯეტმა განიცადა ცვლილება, კერძოდ: სტუდენტთა მობილობა-აღდგენისა და დამატებით შეძენილი კრედიტების შედეგად ფაკულტეტის შემოსავალმა მოიმატა 283 875 ლარით, რომლითაც გაიზარდა არაფინანსური აქტივების მუხლის არასაცხოვრებელი შენობების პუნქტი; ნაშთი (3 აპრილის მდგომარეობით) შეადგენს 909 857 ლარს, საიდანაც 400 000 ლარი გადატანილ იქნეს არაფინანსური აქტივების მუხლის არასაცხოვრებელი შენობების პუნქტში; 350 000 ლარი გადატანილ იქნეს პრემიის მუხლში, ხოლო 159 857 ლარი – შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების მუხლში.

განხორციელდა შიგამუხლობრივი ცვლილებები, კერძოდ: კვების ხარჯების მუხლიდან 32 000 ლარი გადატანილ იქნეს კულტურული, სპორტული, საგანმანათლებლო და საგამოფენო ღონისძიებების მუხლში; შენობა-ნაგებობების და მათი მიმდებარე ტერიტორიების მიმდინარე რემონტის მუხლიდან 800 000 ლარი გადატანილ იქნეს არაფინანსური აქტივების მუხლის არასაცხოვრებელი შენობების პუნქტში; ოფისის ხარჯების კომპიუტერული პროგრამების შეძენისა და განახლების მუხლიდან 5 000 ლარი და სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების მუხლიდან სხვა დანარჩენი ხარჯები, რომელიც არ კლასიფიცირდება სხვა მუხლებში, 5 000 ლარი გადატანილ იქნეს არაფინანსური აქტივების სხვა არამატერიალური ძირითადი აქტივების მუხლში; შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების მუხლიდან 2 000 ლარი გადატანილ იქნეს წარმომადგენლობითი ხარჯების მუხლში; 2 000 ლარი გადატანილ იქნეს საგამომცემლო, სასტამბო ხარჯების მუხლში, ხოლო 5 600 ლარი – დანამატის მუხლში;

5.9. დიზაინის საერთაშორისო სკოლის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი უცვლელი რჩება და განხორციელდა შიგამუხლობრივი ცვლილებები, კერძოდ: შრომის ანაზღაურების მუხლის თანამდებობრივი სარგოს პუნქტიდან დანამატის პუნქტში გადატანილ იქნეს 5 520 ლარი; შენობა-ნაგებობების მიმდინარე რემონტის ხარჯების მუხლში გადატანილ იქნეს 6 200 ლარი, ხოლო პრემიის მუხლში –10 810 ლარი;

5.10. აგრარული მეცნიერებებისა და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის ბიუჯეტმა ცვლილება განიცადა – საშემოსავლო ნაწილს დაემატა 2014 წლის საკასო ნაშთი 322 048 ლარი. დიდი ჯიხაიშის ნ. ნიკოლაძის სახელობის აგროინჟინერიისა და სასურსათო ტექნოლოგიების პროფესიული კოლეჯის სტუდენტთა რაოდენობამ შეადგინა 154 სტუდენტი, რომელთა სწავლის საფასური 219 500 ლარს შეადგენს. მობილობით გადმოვიდა 4 სტუდენტი, რომელთა შემოსავალი 9 000 ლარს შეადგენს; 11 სტუდენტმა შეიჩერა სტატუსი და შემოსავალი 24 750 ლარით შემცირდა.

ამრიგად, ფაკულტეტის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი 525 798 ლარით გაიზარდა და 2 843 123 ლარს შეადგენს. 525 798 ლარი გადანაწილდა კლასიფიკაციის შემდეგ მუხლებში: თანამდებობრივ სარგოს დაემატა 18 998 ლარი; პრემიის მუხლს დაემატა 205 000 ლარი; დანამატის მუხლს დაემატა 20 000 ლარი; შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების მუხლს 100 000 ლარი; შენობა-ნაგებობების და მათი მიმდებარე ტერიტორიების მიმდინარე რემონტის მუხლს დაემატა 55 000 ლარი; მოსაკრებელის მუხლს დაემატა 1 800 ლარი; ლიცენზიები და კომპიუტერული პროგრამული უზრუნველყოფის მუხლს დაემატა 15 000 ლარი; ელექტრომოწყობილობების, რადიო-, სატელევიზიო და საკომუნიკაციო აპარატურის შეძენის მუხლს დაემატა 20 000 ლარი; არაფინანსური აქტივების, არასაცხოვრებელი შენობების მუხლს დაემატა 30 000 ლარი; საქონელსა და მომსახურებაზე გაწეულ დანარჩენ ხარჯებს, რომელიც არ კლასიფიცირდება სხვა დანარჩენ მუხლებში, დაემატა 40 000 ლარი; სხვა არამატერიალურ ძირითად აქტივებს დაემატა 20 000 ლარი; მივლინებების მუხლიდან 10 000 ლარი გადატანილ იქნეს სესიების, კონფერენციებისა და სხვა სამუშაო შეხვედრებზე ორგანიზაციის ხარჯების მუხლში;

6. სტუ-ის ნაგებობების, სპეციალური სისტემებისა და საინჟინრო უზრუნველყოფის ინსტიტუტის ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლების ხარჯთაღრიცხვასა და ნაერთ ბიუჯეტში ოფისის ხარჯების მუხლის ელექტროენერგიის ხარჯის პუნქტიდან 800 ლარი გადატანილ იქნეს კავშირგაბმულობის და სატელევიზიო მომსახურების ხარჯების პუნქტში; არაფინანსური აქტივების მუხლის კომპიუტერული მოწყობილობების შეძენის პუნქტიდან 4 300 ლარი გადატანილ იქნეს სხვა მანქანა-დანადგარების და ინვენტარის მუხლში, რომელიც არ არის კლასიფიცირებული პუნქტში, ხოლო 53 757 ლარი ელექტრომოწყობილობების, რადიო-, სატელევიზიო, საკომუნიკაციო აპარატურის, ოპტიკური ხელსაწყოების და ავეჯის შეძენის პუნქტში;

7. სტუ-ის ნაერთი ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი საჭიროებს გაზრდას ევროგრანტებისა და შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდიდან დაფინანსებული გრანტების გარდამავალი ნაშთებიდან გამომდინარე, კერძოდ: ევროგრანტების ნაშთი 2015 წლის 1-ლი იანვრისთვის 179 705 ლარს შეადგენს, ხოლო ეროვნული სამეცნიერო ფონდიდან დაფინანსებული გრანტების ნაშთი წლის დასაწყისისთვის – 1 076 314 ლარს.

გარდა აღნიშნულისა, შოთა რუსთაველის ეროვნულ სამეცნიერო ფონდთან 2015 წელს გაფორმებული ხელშეკრულებებიდან გამომდინარე, ფონდის გრანტების საშემოსავლო ნაწილი გაიზარდა 82 810 ლარით, ხოლო ევროგრანტების საშემოსავლო ნაწილი – 151 659 ლარით.

წარმოდგენილი ინფორმაციიდან გამომდინარე, სტუ-ის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილში როგორც ნაშთის, ასევე შემოსავლების ნაწილი გაიზარდოს მითითებული თანხებით და ხარჯვით ნაწილში გაიწეროს ხარჯთაღრიცხვების შესაბამისად;

8. ბიუჯეტის ნაშთის გრაფაში უნდა აისახოს „ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამით“ ჩარიცხული თანხები (სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსება), რომელიც 2015 წლის 1 იანვრისთვის 8 201 318 ლარს შეადგენდა, საიდანაც აგრარული მეცნიერებებისა და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის შენობის რეაბილიტაციისათვის განსაზღვრულია 3 181 494 ლარი, აქტივების შესაძენად 1 393 872 ლარი, ნ. მუსხელიშვილის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის შენობის რეაბილიტაციისათვის 3 625 951 ლარი.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სტუ-ის ნაერთი ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილში ნაშთის სახით აისახოს 8 201 318 ლარი, ხოლო ხარჯვითი ნაწილი გაიწეროს ხარჯთაღრიცხვების შესაბამისად;

9. უნივერსიტეტის ეკონომიკური საქმიანობის ხარჯთაღრიცხვასა და ნაერთ ბიუჯეტში სამეცნიერო ცენტრებიდან და სახელშეკრულებო თემებიდან შემოსავლების გრაფაში შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების მუხლიდან 213 700 ლარი გადატანილ იქნეს დანამატის მუხლში;

10. განხორციელებული ცვლილებების გათვალისწინებით დამტკიცდეს სტუ-ის ნაერთი ბიუჯეტი.

#### სენატმა დაადგინა:

1. სტუ-ის 2015 წლის ბიუჯეტში შესატანი ცვლილებების გათვალისწინებით დამტკიცდეს სტუ-ის ნაერთი ბიუჯეტი (დანართი №1).
2. სტუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა (პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი):
  - ა) ორი კვირის განმავლობაში, გადაწყვეტილების მოთხოვნების გათვალისწინებით, პროგრამულად გაწერილი ბიუჯეტი წარმოუდგინოს სენატს დასამტკიცებლად. პროგრამულად უნდა იყოს გაწერილი ხარჯები რემონტზე, შესყიდვებზე, შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურებაზე, ხელფასებზე, დანამატებსა და სხვა ხარჯებზე.
  - ბ) უმოკლეს ვადაში შეიმუშაოს და დასამტკიცებლად წარმოუდგინოს წესები მოსამსახურეებზე, შრომის ანაზღაურებაზე, დანამატების დაწესებისა და ზენორმატიული სამუშაო საათების ანაზღაურების შესახებ.

გ) პროგრამულად ნაერთ ბიუჯეტთან ერთად წარმოადგინოს იმ საშტატო ერთეულების ნუსხა, რომელთაც დანიშნული აქვთ დანამატები ხელფასზე და იმ პირების სია, დაკავებული თანამდებობის ჩვენებით, რომელთაც მიმდინარე წლის პირველ კვარტალში დამატებით დაერიცხა ხელფასები არანორმირებულ საათებში მუშაობისთვის. თითოეულ თანამშრომელზე დამატებით გაცემული ხელფასის ოდენობის ჩვენებით.

3. დაევალოს სტუ-ის შიგა აუდიტის სამსახურის უფროსს, მოამზადოს აუდიტორული დასკვნა ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ანგარიშზე 2014 წელს ჩატარებული მუშაობის შესახებ, რომელიც მოსმენილი იქნება სენატის სხდომაზე.

სტუ-ის სენატის

სპიკერი, პროფესორი

ჯემალ გახოკიძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის  
სენატის

2015 წლის 6 აპრილის =78 სხდომის

დ ა დ ბ ე ნ ი ლ ე ბ ა =2

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატის 2015 წლის 6 აპრილის =78 სხდომაზე სტუ-ის ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის დეკანმა, პროფ. რუსუდან ქუთათელაძემ წარმოადგინა საკითხი სტუ-ის ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის სტუდენტებისთვის, რომლებიც საინგილოს მკვიდრნი არიან, სწავლის გადასახადის ოდენობის შემცირების შესახებ.

სენატმა დაადგინა: სტუ-ის ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის სტუდენტებს: ნაბათ ჰაგვერდიევას, მაია ახმედოვას, ელმადინ ჯალილოვს და რაზია ეფენდიევას, რომლებიც საინგილოს მკვიდრნი არიან, სწავლის გადასახადი შეუმცირდეთ 3 400 ლარიდან 2 250 ლარამდე.

სტუ-ის სენატის

სპიკერი, პროფესორი

ჯემალ გახოკიძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის  
სენატის

2015 წლის 6 აპრილის =78 სხდომის

დ ა დ ბ ე ნ ი ლ ე ბ ა =3

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატის 2015 წლის 6 აპრილის =78 სხდომაზე სტუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა, პროფ. ქეთევან ქოქრაშვილმა წარმოადგინა საკითხი საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტთან არსებული თვითდაფინანსების პრინციპით მომუშავე „რეგიონალური კვლევის ცენტრის“ სტუ-ის მომსახურების გადასახადისაგან გათავისუფლების შესახებ.

სენატმა დაადგინა: საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტთან არსებული თვითდაფინანსების პრინციპით მომუშავე „რეგიონალური კვლევის ცენტრი“ გათავისუფლდეს სტუ-ის მომსახურების გადასახადისაგან.

სტუ-ის სენატის

სპიკერი, პროფესორი

ჯემალ გახოკიძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის  
სენატის

2015 წლის 6 აპრილის =78 სხდომის

დ ა დ ბ ე ნ ი ლ ე ბ ა =4

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატის 2015 წლის 6 აპრილის =78 სხდომაზე სტუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა, პროფ. ქეთევან ქოქრაშვილმა წარმოადგინა საკითხი სტუ-ის საშტატო განრიგში ცვლილებების შეტანის შესახებ.

სენატმა დაადგინა: სტუ-ის საშტატო განრიგში შევიდეს ცვლილებები, კერძოდ:

1. უნივერსიტეტის ადმინისტრაციის საერთაშორისო ურთიერთობებისა და სტანდარტების სამსახურის შემადგენლობაში შეიქმნას „საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი“ შემდეგი თანამდებობებით: დაემატოს დეპარტამენტის უფროსის 1 საშტატო ერთეული ხელფასით 1 800 ლარი, ხოლო უკვე არსებული სამსახურის საშტატო ერთეულებიდან გამოიყოს მთავარი სპეციალისტის 1 საშტატო ერთეული ხელფასით 550 ლარი, უფროსი სპეციალისტის 3 საშტატო ერთეული ხელფასით 500 ლარი. შესაბამისად, ადმინისტრაციის მიმდინარე წლის სახელფასო ფონდი გაიზარდოს 16 200 ლარით;

2. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს დაემატოს სამსახურის უფროსის მოადგილე 1 საშტატო ერთეული ხელფასით 1 600 ლარი. შესაბამისად, ადმინისტრაციის მიმდინარე წლის სახელფასო ფონდი გაიზარდოს 14 400 ლარით.

3. ადმინისტრაციის სასწავლო პროცესების მონიტორინგის დეპარტამენტში გაუქმდეს სპეციალისტის 1 საშტატო ერთეული და დაემატოს დეპარტამენტის უფროსის მოადგილის 1 საშტატო ერთეული ხელფასით 1 100 ლარი. შესაბამისად, ადმინისტრაციის მიმდინარე წლის სახელფასო ფონდი გაიზარდოს 6 300 ლარით.

სტუ-ის სენატის

სპიკერი, პროფესორი

ჯემალ გახოკიძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის  
სენატის

2015 წლის 6 აპრილის =78 სხდომის

დ ა დ ბ ე ნ ი ლ ე ბ ა =5

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატის 2015 წლის 6 აპრილის =78 სხდომაზე პროფ. ლევან ქობულაშვილმა წარმოადგინა საკითხი „ელექტრონული სწავლების საკონსულტაციო ცენტრის“ შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ. სტუ-ის აკადემიური საბჭოს 2015 წლის 20 მარტის დადგენილება №1457.

სენატმა დაადგინა: დამტკიცდეს სტუ-სთან თვითდაფინანსების პრინციპით მომუშავე „ელექტრონული სწავლების საკონსულტაციო ცენტრის“ შექმნა და მისი დებულება.

სტუ-ის სენატის

სპიკერი, პროფესორი

ჯემალ გახოკიძე

